

## ანოტაცია

სემანტიკური Web-ის შექმნის მიზანია არსებული Web-ის გამდიდრება მანქანების მიერ ინტერპრეტირებადი მეტამონაცემების დამატებით, რათა კომპიუტერულმა პროგრამებმა შეძლონ ახალი ინფორმაციის შექმნა გამოცნობის პროგნოზით. ეს მიზანი მოითხოვს მეტამონაცემების სინტაქსისა და ლექსიკის განვითარებას და მეტამონაცემების შექმნას მრავალი ვებ გვერდისთვის.

მსოფლიო ქსელის უზარმაზარი გავლენისა და წარმატების მიუხედავად, მას ამჟამად აქვს მნიშვნელოვანი შეზღუდვა - უმრავლეს შემთხვევაში ის ხელმისაწვდომია მხოლოდ ადამიანებისთვის. მანქანები აგზავნიან ინფორმაციას ქსელში, მაგრამ ისინი საერთოდ არ გვეხმარებიან ინფორმაციის შერჩევაში, ინტერპრეტაციაში, სხვადასხვა ინფორმაციის წყაროების შედარებაში, ინფორმაციისგან დასკვნების გამოტანაში და მასზე მოქმედებაში. ამის მიზეზი არის ის, რომ კომპიუტერებს ესმით მხოლოდ ვებ გვერდების სტრუქტურა და განლაგება, და არ აქვთ წვდომა მათ მნიშვნელობებზე. სემანტიკურ Web-ში ინფორმაციის მნიშვნელობა ცხადად არის მოცემული ცოდნის ფორმალური, სტანდარტიზებული წარმოდგენით ანუ ონტოლოგიით, რის შედეგადაც, კომპიუტერებს შეუძლიათ გააკეთონ მნიშვნელოვანი ინტერპრეტაციები ისევე, როგორც ადამიანები ამუშავებენ ინფორმაციას თავიანთი მიზნების მისაღწევად.

წარმოგიდგენთ სემანტიკური Web-ის ამჟამინდელი მდგომარეობის მიმოხილვასა და მისი განვითარების გზებსა და პერსპექტივას.

საკვანძო სიტყვები: სემანტიკური Web, დაკავშირებული მონაცემები, WWW, RDF, URI.